საქართველოს კანონი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20(27), 1999 წელი, მუხ. 101) მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გასაწევი ანაზღაურებადი მომსახურების სახეები და საფასურის ოდენობები, გარდა კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა და იმ შემთხვევისა, როდესაც გასაწევი მომსახურების საფასური თავისი არსით ფიქსირებული არ უნდა იყოს და იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და დაინტერესებულ პირს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

29 მაისი 2019 წ.

N4617-IIს